მხარეებმა მოითხოვეს უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე ის ფაქტი, რომ ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ნამდვილად ეკუთვნის გამყიდველს, რასაც ადასტურებს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი № **01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია № **882012142366 - 03/04/2012 17:43:21** მომზადების თარიღი **04/04/2012 10:26:49**, ხოლო ავთანდილ ორჯონიკიძის უფლებამოსილება შევამოწმე „სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს (საიდ№ 400028910) თაობაზე გაცემული ამონაწერითა და საზოგადოების წესდებით. შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე მხარეებს განვუმარტე, რომ თუ ამ ხელშეკრულებით იფარება სხვა გარიგება, მაშინ დავის შემთხვევაში გამოიყენება დაფარული გარიგების წესები. იმ შემთხვევაში თუ მხარეები ამცირებენ ნასყიდობის ფასს, დავის შემთხვევაში მოსარჩელე მხარემ უნდა დაამტკიცოს ფასის შემცირების ფაქტი, ნასყიდობის ფასის შემცირება გადასახადის ოდენობის შემცირების მიზნით - ისჯება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით. ასევე მხარეებს განვუმარტე, რომ უძრავი ქონების შემძენი საკუთრების უფლებას იძენს საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციით, რისთვისაც აუცილებელია საჯარო რეესტრში წინამდებარე ხელშეკრულების ეგზემპლარის წარდგენა. ამ

გასარტების შემდეგ მე შევადგინე ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ხმამაღლა წავუკითხე მხარეებს და განვუმარტე მისი შინაარსი. შემდეგ მხარეებმა თავად წაიკითხეს წინამდებარე ხელშეკრულება და განაცხადეს, რომ სურთ ხელშეკრულების დადება სწორედ იმ პირობებით, რაც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში და ჩემი თანდასწრებით მოაწერეს ხელი შემდეგ ხელშეკრულებას:

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება

ორიათას თერთმეტი წლის ოცდაათ მარტს ჩვენ, ერთის მხრივ ლევან აბუაშვილმა, დაბადებული 06.10. 1938 წელს მცხეთაში, რეგ. თბილისი, გლდანის დასახლება, მ. ხერგიანის ქ.№1 , პირადი № 01002027951 რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია როგორც „გამყიდველი" და მეორეს მხრივ, შპს "საშენებლო კომპანია სავანე-შენი"ს(საიდ. № 400028910) რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „მყიდველი"-დირექტორმა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა, ავთანდილ ორჯონიკიძემ (დაბადებული 19.02. 1956 წელს ხაშურში, რეგ. თბილისი, ვარკეთილი 3, მე-3 მ/რ, კორპ. 311 ბინა 23. მისი განცხადებით ამჟამად ფაქტიურად მცხ. ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ კ1 ბ54 პირადი № 01013008792)

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. მე, ლევან აბუაშვილმა გავყიდე, უძრავი ნივთი – მიწის ნაკვეთი 1859 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 173.06 სხვა ფართი: ნაგებობა №2 მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ხერგიანის №1, რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდეგში მოხსენიებულია, როგორც „ნასყიდობის საგანი", ხოლო მე, ავთანდილ ორჯონიკიძემ, რომელიც ვეწოდებოდე შპს ,,საშენებლო კომპანია სავანე-შენი"-ს (საიდ. № 400028910) სახელით, როგორც „მყიდველმა" ვიყიდე, უძრავი ნივთი - მიწის ნაკვეთი 1859 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 173.06 სხვა ფართი:ნაგებობა №2 მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ხერგიანის № 1, „ნასყიდობის საგანი".

2. ჩვენ, მხარეები შევთანხმდით, რომ ვდებთ ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

2.1. მყიდველი შპს „საშენებლო კომპანია სავანე-შენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ "ნასყიდობის საგან"-ს, მიწის ნაკვეთს 1859 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი №1, შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი 173.06 სხვა ფართი:ნაგებობა №2 მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ხერგიანის № 1, გამოიყენებს მხოლოდ მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (კორპუსის) ასაშენებლად.

2.2. მყიდველი შპს „საშენებლო კომპანია სავანე-შენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ უზრუნველყოფს შენებლობის დასრულებას და მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებას არა უგვიანეს 2014 (ორიათას თოთხმეტი) წლის 30 მარტისა.

2.3. მყიდველი შპს "საშენებლო კომპანია სავანე-შენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ ვალდებულებას იღებს გამყიდველს ლევან აბუაშვილს (ან მის უფლებამონაცვლე პირ(ებ)-ს) საკუთრებაში გადასცეს 850 კვ.მ. ამნებებული, ექსპლუატაციაში მიღებული შართი. ამნებებული 850 კვ.მ.შართიდან -დან 250 (ორასორმოცდაათი) კვ.მ. ლევან აბუაშვილს (ან მის უფლებამონაცვლე პირ(ებ)ს) უნდა გადაეცეს თეთრ კარკასულ მდგომარეობაში (შეტანილ-ჰკლასტმასის კარ-შანჯარა, მოტიფული აივნებით და იატაკით, კედლები და ჭერი გაჯით შელესილი, რკინის კარები, წყლის, გაზისა და ელექტროგამყვანილობის კომუნიკაციები დამონტაჟებული), ხოლო 600 (ექვსასი) კვ.მ. შავ-კარკასულ მდგომარეობაში.

2.4. მყიდველი შპს "საშენებლო კომპანია სავანე-შენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ მშენებლობის დასრულებამდე და მის ექსპლუატაციაში მიღებამდე ანი მხარეთა შორის

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნოტარიუსი ანა ბერიძე
ანა ბერიძე
127

დწეულ სხვა დაბატებით შეთანხმებამდე) უზრუნველყოფს გამყიდველს (ან მის უფლებამონაცვლე პირ(ებ)ს) საცხოვრებელი ფართის ყოველთვიური ქირით 800 (რვაასი) აშშ დოლარის ოდენობით.

2.5. მყიდველი შპს "საამშენებლო კომპანია სავანე-მშენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ გამყიდველის (ან მის უფლებამონაცვლე პირ(ებ)ის) წერილობითი ნებართვის გარეშე არ მოხდება ნასყიდობის საგნის მიწის ნაკვეთის 1859 კვ.მ. მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, ქუჩა ხერგიანის № 1 (საკ. კოდი 01.11.12.001.007) გასხვისება, გამიჯვნა, იპოთეკით დატვირთვა ან სხვა ვალდებულების უზრუნველსაყოფად გამოყენება.

2.6. მყიდველი შპს "საამშენებლო კომპანია სავანე-მშენი" (საიდ. № 400028910) აცხადებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის პირობების დარღვევის შემთხვევაში იგი ვალდებულია გამყიდველი ან მისი უფლებამონაცვლე პირ(ებ)ი დააკმაყოფილოს წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტისათვის "ნასყიდობის საგნის" ტოლფასი კომპენსაციით ან უძრავი ქონებით.

მხარეთა შეთანხმებით ხელშეკრულების მე-2 მუხლი ექვემდებარება საჯარო რეესტრში სავალდებულო რეგისტრაციას.

3 . ზემოაღნიშნული უძრავი ქონების მახასიათებლებია:

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	11	12	001/007

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი:1859.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:1;
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი:173.06
სხვა ფართი:ნაგებობა N2
მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ხერგიანი , N 1.

4. ნასყიდობის საგანი საკუთრების უფლებით ეკუთვნის გამყიდველს, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი საკადასტრო კოდი № **01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია **№ 01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია № **882012142366 - 03/04/2012 17:43:21** მომზადების თარიღი **04/04/2012 10:26:49**

5. მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგნის ფასი შეადგენს 110 000 (ას ათი ათას) აშშ დოლარს, რაც ხელშეკრულების დადების დღისათვის ეროვნულ ვალუტაში ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით შეადგენს 180917 (ასოთხმოცი ათას ცხრაას ჩვიდმეტი) ლარს. კურსი 1X64.47 ნასყიდობის ფასის ღირებულება უზრუნველყოფილია ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2.3, 2.4 და მე2.6 პუნქტებით, რაზეც ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარე აცხადებს თანხმობას.

6. მხარეთა განცხადებით ნასყიდობის საგნის გადაცემა მოხდება 2012 (ორიათას თერთმეტი) წლის 04 აპრილისათვის.

7. ნასყიდობის საგანი არ არის სადავო, მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ, არის უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო. იგი არ არის საჯაროსამართლებრივად შეზღუდული, რაც დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **საკადასტრო კოდი № 01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია **№ 01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია № **882012142366 - 03/04/2012 17:43:21** მომზადების თარიღი **04/04/2012 10:26:49;**

8. გამყიდველი ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის მას ნასყიდობის საგანზე სხვა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გარდა წარმოდგენილისა არ აუღია და არცერთ სამოქალაქო გარიგებაში არ გამოუყენებია.

9. გამყიდველი ვალდებულია ნასყიდობის საგნის გადაცემისას გადაიხადოს ნასყიდობის საგნის ექსპლუატაციასთან დაკავშირებით არსებული ყველა გადასახადი და მყიდველს წარუდგინოს დავალიანების არარსებობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

10. მხარეებმა განაცხადეს, რომ ნასყიდობის საგანი ნივთობრივად უნაკლოა, ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის. მყიდველმა მოიწონა ნასყიდობის საგნის ხარისხი. იმ

ასლი
127

მთხვევაში თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდება უფლებრივად ან ნივთობრივად ნაკლის მქონე, ამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. გამყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ნაკლის გამოსწორება მოითხოვს ნასყიდობის ფასთან შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება მოიშლება და გამყიდველი ვალდებულია მყიდველს აუნაზღაუროს ზიანი. თუ მყიდველი არ მოითხოვს ნაკლის გამო ამ ხელშეკრულების მოშლას და არც ნაკლის გამოსწორებას, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ნასყიდობის ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის საგნის ნაკლის გამო, თუ ამ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამ ნაკლის შესახებ.

11. *მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე ერთმანეთის მიმართ წარმოშობილ ნებისმიერ დავას მხარეები გადაწყვეტენ შერთიერთმოლაპარაკებით. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეთა დავის განხილვა შესაძლებელია სასამართლოში. მხარეები თანხმდებიან, რომ ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებთან დაკავშირებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიეკრძალოს დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, გარდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*

12. ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლიარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, ერთვის შემდეგი დანართი დოკუმენტი:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი საკადასტრო კოდი № **01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია № **01.11.12.001.007** განცხადების რეგისტრაცია № **882012142366 - 03/04/2012 17:43:21** მომზადების თარიღი **04/04/2012 10:26:49**

2. "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენ"ს (საიდ. № 400028910) 2012 წლის 04 აპრილის პარტნიორის გადაწყვეტილება, რომელზეც პარტნიორის ხელმოწერის ნამდვილობა დამოწმებულია ნოტარიუს ლალი გზირიშვილის მიერ 2012 წლის 04აპრილს, სარეგ. №120352801;

3. "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენ"-ის (საიდ. № 400028910) თაობაზე გაცემული ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განცხადების რეგისტრაციის №ბ 11153636, ამონაწერის მომზადების თარიღი 25/10/2011

4. "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენ"ს (საიდ. № 400028910) წესდების მართვის ერთიანი ავტომატური სამუალებების გამოყენებით მიღებული ასლი.

ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმების ხარჯი გადაიხადა მპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს (საიდ№ 400028910) დირექტორმა.

გადახდილია **სახელმწიფო ბაჟი:** თანახმად ,,სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების" შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 23-ე მუხლისა 524 (ხუთას ოცდაოთხი ლარი) და 33 (ოცდაცამეტი თეთრი) , საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა დ.დ.გ 18% 94 (ოთხმოცდათოთხმეტი) ლარი 38 (ოცდათრამეტი) თეთრი, საქართველოს მთავრობის ზემოაღნიშნული დადგენილების 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა შესაბამისად 2(ორი) ლარი, სულ 620 (ექვსასოცი) ლარი, 71 (სამოცდათერთმეტი) თეთრი. ეს ხელშეკრულება შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლალი გზირიშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

„გამყიდველი"

„მყიდველი"
"სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს
დირექტორი

ნოტარიუსი ლალი გზირიშვილი




127

უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება

ქალაქი თბილისი 22 დეკემბერი 2014 წელი

წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებმა:

სონა აბუაშვილი (პირადი №01002028515)
რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „გამყიდველი", გაყიდა და შპს"სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი". (ID №400028910), მისი დირექტორის ნოდარი მაღლაფერიძეს(პირადი №01017020362)სახით

რომელიც ამ ხელშეკრულებაში შემდგომში მოხსენიებულია როგორც „მყიდველი", იყიდა გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი, მდებარე

ქ.თბილისი, გლდანის VIმ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა №1; ს/კ 01.11.12.001.021; ფართი 325.00

ზონა თბილისი 01 სასოფლო სამეურნეო ([illegible]) კვ.მ

სექტორი გლდანი 11

კვარტალი 12

ნაკვეთი 001/021

ნასყიდობის საგანზე გამყიდველის საკუთრების უფლება დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან №882014669969 ; მომზადების თარიღი 15/12/2014 წელი.

ნასყიდობის საგნის ღირებულება განისაზღვრა

1000 (ათასი) ლარი ,
ნასყიდობის საგნის საფასური (ციფრებით და სიტყვიერად) და ვალუტა

რომელიც მყიდველის მიერ სრულად არის გადახდილი.

მყიდველის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე წარმოიშობა ამ ხელშეკრულების საფუძველზე უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

ნასყიდობის საგნის ხარისხი შეთანხმებულია მხარეთა შორის, იგი ნივთობრივად უნაკლოა, მყიდველმა მოიწონა მისი მდგომარეობა და ხარისხი. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი აღმოჩნდება უფლებრივად ან ნივთობრივად სხვა ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია თავისი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩენილი ნაკლის გამო, თუ ამ ნაკლის თაობაზე მისთვის ცნობილი იყო ხელშეკრულების დადების მომენტში.

ის გარემოებები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, მხარეები თანხმდებიან, რომ მოწესრიგდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, კანონით დადგენილი წესით.

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სრულად შეესაბამება და გამოხატავს მხარეთა ნებას, რასაც ვადასტურებთ მხარეთა ხელმოწერით:

გამყიდველი../........................./

გამყიდველის სახელი და გვარი გარკვევით — ხელმოწერა

მყიდველი: შპს"სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი". (ID №400028910),

მისი დირექტორის ნოდარი მაღლაფერიძეს(პირადი №01017020362) სახით

..../........................./

მყიდველის სახელი და გვარი გარკვევით — ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
№414
თარიღი 22 2014 წ.
02

127

საქმე №2/673-18



www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით

მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის შესახებ

ქ. თბილისი

7 თებერვალი, 2018 წელი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია
მოსამართლე ვერა დობორჯგინიძე

მოსარჩელე: შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი", ს/ნ 400028910
წარმომადგენელი: დავით მელაძე

მოპასუხე: სონა აბუაშვილი, პ/ნ 01002028515
წარმომადგენელი: დავით გუნიავა

დავის საგანი: უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა

სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მოსამზადებელი სხდომის დანიშვნის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

2018 წლის 10 იანვარს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს წარმომადგენელმა მოპასუხის სონა აბუაშვილის მიმართ და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ქონების გამოთხოვა მოითხოვა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარმოდგენილი წერილობითი მასალები მოსამართლეს აძლევს ვარაუდის საფუძველს, რომ შეიძლება მხარეებმა საქმე მორიგებით დაამთავრონ, მოპასუხემ ცნოს სარჩელი ან მოსარჩელემ უარი თქვას სარჩელზე, აგრეთვე თუ, მოსამართლის აზრით, სასამართლო განხილვისათვის საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესები ამას მოითხოვს, მოსამართლე უფლებამოსილია მხარეთა წერილობითი მასალების მიღებიდან 5 დღის განმავლობაში დანიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

საქმის სათანადოდ მომზადების ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს, საქმის

მასალების გათვალისწინებით, საჭიროდ მიაჩნია, მოცემულ საქმეზე დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 205-ე, 284-ე, 285-ე, 414-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა

1. სამოქალაქო საქმეზე **№2/673-18** დაინიშნოს მოსამზადებელი სხდომა 2018 წლის 7 მარტს, 13:00 საათზე, თბილისის საქალაქო სასამართლოში, სხდომის დარბაზი №9.

2. მოსამზადებელ სხდომაზე გამოძახებულ იქნენ მხარეები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით.

3. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე **ვერა დობორჯგინიძე**

საქმე №2/19300-17



www.info.court.ge

განჩინება

საქართველოს სახელით

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების თაობაზე

26 ივლისი 2017 წელი

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია

მოსამართლე ლია ავალიშვილი

მოსარჩელე: სონა აბუაშვილი

წარმომადგენელი : დავით გუნიავა

მოპასუხე: შპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"

დავის საგანი: ხელშეკრულების გაუქმება, უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემა

მოთხოვნის არსი: სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი და

გამოარკვია:

2017 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა სონა აბუაშვილის წარმომადგენელმა დავით გუნიავამ, მოპასუხე შპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს წინააღმდეგ, ხელშეკრულებების გაუქმებისა და უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის თაობაზე;

მოსარჩელემ სარჩელში სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე, კერძოდ, აეკრძალოს მოპასუხე შპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს მის საკუთრებაში რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხერგიანი, №1/ქალაქი თბილისი, გლდანის მე-6 მ/რ, მ. ხერგიანის ქუჩა №1, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.11.12.001.023 - გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 ივლისის განჩინებით სონა აბუაშვილს

სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა წარმოადგინოს საჯარო რეესტრიდან უძრავ ქონებებზე ახალი ამონაწერები. აღნიშნული ხარვეზი მოსარჩელემ შეავსო კანონით დადგენილ ვადაში 2017 წლის 26 ივლისს.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა და მიიჩნია, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი სახის საფუძველთა არსებობის გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა დასაშვებია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელის უზრუნველყოფა არის სასამართლო გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისთვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება, რაც დამოკიდებულია ვარაუდზე, რომ შესაძლოა მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნებისგან თავის დაღწევის მიზნით განახორციელოს ისეთი ქმედება, რაც საბოლოოდ შეუძლებელს გახდის მოპასუხის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება შეიძლება იყოს მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.

იმის გათვალისწინებით, რომ დავის საგანი არის ხელშეკრულების გაუქმება და საკუთრების უფლების აღდგენა, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილებით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის დადგომა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ გადაწყვეტილების ძალაში შესვლაზე, ასევე მოპასუხის ნებაზე. ასეთი ნების არარსებობის შემთხვევაში კი, გადაწყვეტილებით განსაზღვრული შედეგის დადგომა დამოკიდებული ხდება ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა იძულებითი აღსრულება. სასამართლო განმარტავს, რომ თუკი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტისათვის არ იარსებებს მოსარჩელის დაკმაყოფილების საშუალებამ, მაგალითად, ქონების რეალიზაციის გამო, გადაწყვეტილება დარჩება აღუსრულებელი. სასამართლომ კი უნდა უზრუნველყოს სამომავლო გადაწყვეტილების აღსრულება.

გარემოება, რომელზედაც მოსარჩელე ამყარებს ვარაუდს, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში გადაწყვეტილების აღსრულების გაძნელების ან აღუსრულებლობის თვალსაზრისით, არის მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისების საშიშროება. ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადება შეიცავს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის

ღონისძიების მიუღებლობა გააძნელებს ან/და შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების. ამიტომ შუამდგომლობა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

განცხადებას ერთვის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლითაც დასტურდება ის გარემოება, რომ უძრავი ქონება ეკუთვნის მოპასუხე შპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 192-ე, 194-ე, 195-ე, 198-ე, 284-ე, 285-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სონა აბუაშვილის წარმომადგენლის დავით გუნიავას შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს.

2. მოპასუხე - შპს ,,სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"-ს (ს/კ 400028910) აეკრძალოს მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე მისამართზე - ქალაქი თბილისი, ქუჩა ხერგიანი, №1 / ქალაქი თბილისი, გლდანის მე-6 მ/რ, მ. ხერგიანის ქუჩა №1, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.11.12.001.023 - გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

3. განემარტოს მოსარჩელეს, რომ თუკი მას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში, მაშინ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ის ვალდებული იქნება, აუნაზღაუროს მოწინააღმდეგე მხარეს ზარალი, რაც მას მიადგა უზრუნველყოფის ღონისძიების (ღონისძიებების) გამოყენების შედეგად.

4. განჩინებაზე შეიძლება საჩივრის შეტანა ამავე სასამართლოში, მისი ასლის მოპასუხეთათვის გადაცემიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე: **ლია ავალიშვილი**

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.11.12.001.023**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892018061710 - 25/01/2018 11:41:47

მომზადების თარიღი
29/03/2018 15:05:47

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	გლდანი		
01	**11**	**12**	**001/023**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა ხერგიანი , N 1 ;
ქალაქი თბილისი , გლდანის VI მ/რ, მ.ხერგიანის ქუჩა N1

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 2184.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.11.12.001.007;**
01.11.12.001.021;

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 მშენებარე საერთო ფართით 6354.79 კვ.მ (მათ შორის საცხოვრებელი ფართი 4229.81 კვ.მ, კიბის უჯრედის, ლიფტის და ჰოლის ფართი 877.77 კვ.მ, საზაფხულო ფართი 592.04 კვ.მ, მიწისქვეშა ავტოსადგომის ფართი 655.17 კვ.მ)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892018061710 , თარიღი 25/01/2018 11:41:47
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/03/2018

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- მშენებლობის სანებართვო მოწმობა N6/671-1 , დამოწმების თარიღი:20/03/2012 , თბილისის არქიტექტურა
- ბრძანება N01/661 , დამოწმების თარიღი:20/03/2012 , თბილისის არქიტექტურა
- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N120353162 , დამოწმების თარიღი:04/04/2012 ,ნოტარიუსი ლ. გზირიშვილი
- გადაწყვეტილება განცხადების დასაბუთებულობის დადასტურებისა და მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების შესახებ N 113441 , დამოწმების თარიღი:07/03/2018 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- გადაწყვეტილება N1666684 , დამოწმების თარიღი:05/01/2015 , თბილისის არქიტექტურის სამსახური
- შეთანხმება , დამოწმების თარიღი:22/09/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:22/12/2014 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი", ID ნომერი:400028910

მესაკუთრე:
შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882014434008 თარიღი 15/08/2014 11:28:32

გამყიდველი: **სონა აბუაშვილი** P/N: 01002028515;
მყიდველი: **შპს "სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი"**400028910;
საგანი:მიწის ნაკვეთი ფართით 1859.00 კვ.მ. მასზე მდგომი შენობა-ნაგებობ(ებ)ით;
საბოლოო თარიღი:01/03/2015;
ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/10/2014

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N120353162 , დამოწმების თარიღი:04/04/2012 ,ნოტარიუსი ლ. გბირიშვილი,

შეთანხმება, დამოწმების თარიღი22/09/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ყადაღა/აკრძალვა:

- აკრძალვა: **102017265799 27/07/2017 15:48:18**
  შ.პ.ს. სამშენებლო კომპანია სავანე-მშენი ს/ნ 400028910
  საგანი: **უძრავი ნივთი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ხერგიანი 1 / გლდანის მე-6 მიკრო/რაიონი, მ. ხერგიანის ქუჩა 1, 01.11.12.001.023, აეკრძალოს ზემოხსენებული უძრავი ნივთის გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა**
  საფუძველი: **განჩინება, N2/19300-17, 26.07.2017, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია**

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, ავრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge